ცვლილება ძალაშია 2022 წლის 16 თებერვლიდან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება:

1. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-15 მუხლის სახელწოდება და პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 15. შემნახველი ანაბარი**

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„შემნახველი ანაბრის ხელშეკრულება“.**”

2. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-15 პრიმა მუხლის სახელწოდება, პირველი და მეორე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 15¹. ფიზიკური პირის შემნახველი ანაბარი “FlexSave” / “FlexSave +”/“My FlexSave”/“My FlexSave +”

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„შემნახველი ანაბრის** “FlexSave +“ **ხელშეკრულება“** ევროში/**„შემნახველი ანაბრის** “My FlexSave +“ **ხელშეკრულება“** ეროვნულ ვალუტაში და აშშ დოლარში.
2. შემნახველი ანაბარი “FlexSave” ეროვნულ ვალუტაში აღარ იხსნება 2018 წლის 25 სექტემბრიდან, ევროში აღარ იხსნება 2019 წლის 20 ნოემბრიდან, ხოლო აშშ დოლარში აღარ იხსნება 2022 წლის 15 თებერვლიდან; შემნახველი ანაბარი “FlexSave+” ეროვნულ ვალუტაში არ იხსნება 2021 წლის 28 ივნისიდან.”

3. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-15² მუხლის სახელწოდება და პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 15². იურიდიული პირის შემნახველი ანაბარი “FlexSave”/ “FlexSave +”

ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„შემნახველი ანაბრის** “FlexSave” **ხელშეკრულება“** ევროში და აშშ დოლარში / **„შემნახველი ანაბრის** “FlexSave +“ **ხელშეკრულება“** ეროვნულ ვალუტაში.”

4. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-15² მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹, შემნახველი ანაბარი “FlexSave” ეროვნულ ვალუტაში აღარ იხსნება 2022 წლის 15 თებერვლიდან.“